

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის
ოქმი №21

2020 წლის 30 დეკემბერი, 14:00 საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: საკრებულოს თავმჯდომარე-კარლო ჯამბურია.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი-გიორგი მანგოშვილი.

-1-

მოისმინეს:

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: გ. მანგოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 20 , წინააღმდეგი - 0),

გადაწყვიტეს:

შეტანილი იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №25 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 27/12/2019, 190020020.35.167.016457).

/დადგენილება №38 თან ერთვის/

-2-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატისათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრისა და განაწილების შესახებ.

/მომხს: კ. ჯამბურია/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -19, წინააღმდეგი -1, ევალომთაბე).

გადაწყვიტეს:

სამსახურებრივი საქმიანობის ხელშეწყობისა და ეფექტურად წარმართვის მიზნით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან, საკრებულოსა და საკრებულოს აპარატისათვის განისაზღვროს საწვავის ყოველთვიური ლიმიტი და გადაანაწილდეს შემდეგნაირად:

/განკარგულება №46-ი თან ერთვის/

-3-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ

/მომხს: ნ. ბატიაშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 20, წინააღმდეგი - 0),

გადაწყვიტეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოსთან შეთანხმების საფუძველზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომით ხელშეკრულებით

დასაქმებულ პირთა რაოდენობა, რომელიც აჭარბებს არსებული საშტატო ნუსხის რიცხოვნობის 5% -ს, განისაზღვროს 10 ერთეული შრომითი ხელშეკრულებით.

/განკარგულება №48-ი თან ერთვის/

-4-

მოხმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ

/მომხს: ა. ბაინდურაშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე -20, წინააღმდეგი - 0), გადაწყვიტეს:

შეთანხმებული იქნას, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2021 წელს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა - 15 ერთეული შრომითი ხელშეკრულების ოდენობით.

/განკარგულება №47-ი თან ერთვის/

-5-

მოხმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 20, წინააღმდეგი - 0), გადაწყვიტეს:

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალება, ავტომობილი მარკა: REUNAUULT, მოდელი: SANDERO, სარეგისტრაციო ნომერი: BB144BC პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვნების ფორმით გადასცეს ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურს“, არსებობის ვადით.

/განკარგულება №45-ი თან ერთვის/

საქრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია